

ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას მე-3 ჩიხი N7 საცხოვრებელი სახლის
N5 ბინაზე, მოქალაქე შოთა მეფარიშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზ.გამსახურდიას მე-3 ჩიხი N7 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაში მცხოვრები მოქალაქე შოთა მეფარიშვილის წარმომადგენლის ბაირა მეგრეველი-ნემსიწვერიძის განცხადება /2012 წლის 30.07 Nმ/ნ-5941/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას მე-3 ჩიხი N7 საცხოვრებელი სახლის N5 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე შოთა მეფარიშვილის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას მე-3 ჩიხი N7 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე შოთა მეფარიშვილს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას მე-3 ჩიხი N7 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე /საერთო ფართობი 36,50 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 24,58 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,92 კვ.მ./ მოქალაქე შოთა მეფარიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია